საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/263 „ 8 „ ოქტომბერი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-5 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების (სხვა სასამართლოში მოსამართლის მივლინების, აღნიშნული მივლინების ვადის დასრულების), ასევე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან მოსამართლის დაბრუნების შემთხვევაში, განისაზღვრება შესაბამის კოლეგიაში (გარდა საგამოძიებო კოლეგიისა)/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა შორის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთაგან წარმოებაში არსებულ საქმეთა საშუალო რაოდენობა მოსამართლეთა რაოდენობის გათვალისწინებით და თანამდებობაზე გამწესებული მოსამართლისათვის აღნიშნულ რაოდენობამდე საქმეთა შესავსებად საქმეთა განაწილების მაჩვენებელი გაიზრდება 200%-ით, ხოლო ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან დაბრუნებული მოსამართლისათვის - 150%-ით, ბავშვის 1 წლის ასაკის მიღწევამდე, ამ ასაკის მიღწევის შემდეგ კი - 200%-ით.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2018 წლის 15 ოქტომბრიდან.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი